

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობას,

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“,

სს „გეს საქრუსენერგოს“,

შპს „ენერგოტრანსს“

და

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“  
შორის

თარიღი: 14 ივლისი, 2015.

თბილისი, საქართველო

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ;

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“ (შემდგომში „კომპანია“), ს/კ: 230866783, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის იორგ მათიესის მიერ;

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში „სსე“), წარმოდგენილი რეაბილიტაციი მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის სულხან ზუმბურიძის მიერ;

სს „გეს საქრუსენერგო“ (შემდგომში „საქრუსენერგო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის რომეო მიქაუტაძის მიერ;

შპს „ენერგოტრანსი“ (შემდგომში „ენერგოტრანსი“) წარმოდგენილი დირექტორის კახა სეხნიაშვილის მიერ;

დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

### მუხლი 1. განმარტებები

1.1 წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „ხელშეკრულება“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N4-ით განსაზღვრულ დოკუმენტს.

ბ) „სამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს ხელშეკრულების გაფორმებიდან ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებამდე, რა პერიოდშიც კომპანია ვალდებულია განახორციელოს სამშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული სამშენებლო ფაზის ვადისა.

გ) „სამშენებლო გარანტია“ ნიშნავს სამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.

დ) „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდარულ დღეებს.

ე) „თვე/თვეები“ ნიშნავს კალენდარულ თვეებს.

ვ) „ელექტროსადგური“ ნიშნავს ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც განმარტებულია მემორანდუმის დანართი N1-ით.

ზ) „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“ ნიშნავს პირდაპირ ხელშეკრულებას, რომელიც მემორანდუმის შესაბამისად იდება კომპანიასა და „ესკო“-ს შორის.

თ) „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშნავს ხელშეკრულების შეწყვეტამდე პროექტის განხორციელებისათვის გაწეულ ხარჯს, მათ შორის მშენებლობის ხარჯს, საექსპლუატაციო ხარჯს და პროექტის ფარგლებში გაწეულ სხვა ხარჯს.

ი) „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს.

კ) „წინასამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს წინამდებარე მემორანდუმის ძალაში შესვლიდან სამშენებლო ფაზის დაწყებამდე, რა პერიოდშიც კომპანია ვალდებულია განახორციელოს წინასამშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული წინასამშენებლო ფაზის ვადისა.

ლ) „წინასამშენებლო გარანტია“ ნიშნავს წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.

მ) „მხარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიას, „სსე“-ს, „საქრუსენერგო“-ს, „ენერგოტრანსი“ და „ესკო“-ს ერთობლივად.

ნ) „ძირითადი მხარეები“ ნიშნავს მთავრობასა და კომპანიას.

ო) „პროექტი“ ნიშნავს ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზის მომზადებას და მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.

პ) „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს.

ჟ) „ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები“ ნიშნავს ელექტროსადგურის ადგილმდებარეობას, მდინარის ნიშნულებს, დადგმულ სიმძლავრეს და წლიურ გამომუშავებას, როგორც მოცემულია მემორანდუმის დანართი N1-ში.

რ) „ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა“ ნიშნავს კომპანიის მიერ მოსამზადებელ კვლევას/ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს მემორანდუმის დანართ N2-ით განსაზღვრულ დოკუმენტებს/ინფორმაციას და რომელიც მხარეებისათვის უნდა ადასტურებდეს პროექტის განხორციელების ტექნიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და იურიდიულ მიზანშეწონილობას.

ს) „ელექტროგადამცემი ქსელი“ ნიშნავს ელექტროგადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებს (მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე „ახალციხე-ბორჩხა“-ს ელექტროგადამცემ ხაზსა და 500/400/220 კვ. ქვესადგურ „ახალციხეს“), რომლებიც საჭიროა ელექტროენერგიის თურქეთის საზღვრამდე გადაცემისათვის და რომელთაც ფლობს „სსე“, „ენერგოტრანსი“ ან/და „საქრუსენერგო“.

ტ) „მიიღე ან გადაიხადე პრინციპი“ გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შესაბამისად ნიშნავს პრინციპს, რომლის თანახმადაც:

ა) „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ კომპანიას უზრუნველყოფენ საჭირო დისპეტჩერიზაციის და გადაცემის მომსახურებით, ხოლო „ენერგოტრანსი“ დამატებით უზრუნველყოფს კომპანიას გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჩხა“-ს

ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნილ ნაწილზე ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემისათვის ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში ექსპორტის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ „სსე“, „საქრუსენერგო“ ან/და „ენერგოტრანსი“ საკუთარი ბრალით კომპანიას სრულად ვერ უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნული მომსახურებით, დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და შემთხვევებში; და

ბ) კომპანია თანახმაა „სსე“-ს, „საქრუსენერგო“-სა და „ენერგოტრანსი“-ს გადაუხადოს ზემოაღნიშნული მომსახურებისათვის განსაზღვრული თანხა, იმ შემთხვევაშიც, თუ კომპანია გამოიყენებს ნაკლები მოცულობის მომსახურებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანია გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შესაბამისად აფრთხილებს „სსე“-ს, „საქრუსენერგო“-სა და „ენერგოტრანსი“-ს მომსახურების იმ მოცულობის შესახებ, რომელიც არ იქნება გამოყენებული..

უ) „გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულება“ ნიშნავს ექსპორტის მიზნით ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ელექტროგადამცემი ქსელის საშუალებით გადაცემის უზრუნველყოფისათვის კომპანიას, „სსე“-ს, „საქრუსენერგო“-სა და „ენერგოტრანსი“-ს შორის დადებულ ხელშეკრულებას.

## მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი

2.1 მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ, საკუთარი სახსრებით, მშენებლობა, ფლობა, ოპერირების პრინციპის საფუძველზე პროექტის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

## მუხლი 3. წინასამშენებლო ფაზა

3.1 კომპანია წინასამშენებლო ფაზის განმავლობაში მემორანდუმის დანართ N1, N2 და N3-ში განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად ვალდებულია:

3.1.1 განსაზღვროს პროექტისათვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები და მათი ადგილმდებარეობა;

3.1.2 მოიპოვოს პროექტის განხორციელების მიზნით კვლევების ჩატარებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი უფლება;

3.1.3 ჩაატაროს და დაასრულოს სრული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადებში (მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში), წარუდგინოს ის სამინისტროს და ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის

კვლევის საფუძველზე განიხილოს პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა სამინისტროსთან ერთად;

3.1.4 დაასრულოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და წინასწარი განხილვისათვის წარუდგინოს ის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს;

3.1.5 ჩაატაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვები კანონმდებლობის შესაბამისად და წარუდგინოს შედეგები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს;

3.1.6 წინამდებარე მემორანდუმის 3.1.3 პუნქტით განსაზღვრული განხილვისა და პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის დადასტურების შედეგად სამინისტროს წარუდგინოს მთავრობისთვის წარსადგენი წინადადება ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში.

3.2 იმ შემთხვევაში, თუ კომპანია წინამდებარე მემორანდუმის 3.1.1-3.1.6 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შედეგად გადაწყვეტს ელექტროსადგურის მშენებლობას, მან მთავრობას უნდა წარუდგინოს წინადადება დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:

3.2.1 კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ელექტროსადგურის მშენებლობაზე;

3.2.2 სრულ ტექნიკურ პარამეტრებს, ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრისა და წლიური გამომუშავების ჩათვლით;

3.2.3 ელექტროსადგურის განლაგების ზუსტ კოორდინატებს და მდინარის ნიშნულებს;

3.2.4 პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;

3.2.5 სრულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევას;

3.2.6 გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (საჯარო განხილვების შედეგებით).

3.3 თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგების ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე აღმოჩნდება, რომ ელექტროსადგურის მშენებლობა და ოპერირება კომპანიისათვის ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი, კომპანია საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღებს გადაწყვეტილებას პროექტის განხორციელების თაობაზე და შესაბამის შეტყობინებას წარუდგენს მთავრობას შესაბამისი შეთავაზების წარდგენამდე.

3.4 კომპანიის მიერ წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში მთავრობამ უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვების შედეგებს. თუ მთავრობის გადაწყვეტილება

წინამდებარე მემორანდუმის 3.1.3 პუნქტის გათვალისწინებით დადებითია, ძირითადი მხარეები მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ხელს აწერენ პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს დარჩენილი წინასამშენებლო გარანტია 30 დღის განმავლობაში.

#### მუხლი 4. წინასამშენებლო გარანტია

4.1 მხარეები თანხმდებიან, რომ წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის ვალდებულებების, მათ შორის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მთავრობისათვის კომპანიის მიერ ინტერესთა გამოხატვის ეტაპზე წარდგენილია საბანკო გარანტია 57 500 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინასამშენებლო გარანტიის მოქმედების ვადა სამშენებლო ფაზის დაწყების თარიღს 2 თვით უნდა აღემატებოდეს.

4.2 მთავრობა უფლებამოსილია წინასამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში, თუ:

- ა) კომპანიამ დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული გრაფიკი ჯამში 30 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო გარანტიის 50%-ის ოდენობით;
- ბ) კომპანიამ დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული გრაფიკი ჯამში 60 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო გარანტიის სრული ოდენობით;

#### მუხლი 5. სამშენებლო ფაზა

5.1 კომპანია სამშენებლო ფაზის განმავლობაში ვალდებულია:

- 5.1.1 მოიპოვოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ან/და პროექტის არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი უფლებები;
- 5.1.2 დაიწყოს ელექტროსადგურის მშენებლობა მშენებლობის ნებართვის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში;
- 5.1.3 ააშენოს ელექტროსადგური მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში და უზრუნველყოს მისი გადამცემ ქსელთან მიერთების ხარჯების დაფარვა და ექსპლუატაციაში მიღება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;
- 5.1.4 უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;
- 5.1.5 უზრუნველყოს მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების, გარემოს დაცვის და სხვა სტანდარტების შესაბამისად;

5.1.6 კომპანია ვალდებულია სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულების სრული და თავისუფალი წვდომა პროექტის განხორციელების არეალზე;

5.1.7 სამინისტროს წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხის და მშენებლობის უსაფრთხოების მონიტორინგი.

5.2 სამშენებლო ფაზის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, წინამდებარე მემორანდუმის 3.1.3 პუნქტის შესაბამისად ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის განხილვისა და პროექტის განხორციელებაზე ძირითად მხარეთა მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შედეგად ამავე მემორანდუმის 3.4 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში კომპანიამ მთავრობის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს სამშენებლო გარანტია ასაშენებელი ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის მიხედვით, 100 მეგავატი სიმძლავრის ჩათვლით - ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი), ხოლო 100 მეგავატზე მეტი სიმძლავრის შემთხვევაში - ყოველი მეგავატისათვის 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია ძალაში რჩება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ. კომპანიას უზრუნველდება დარჩენილი წინასამშენებლო გარანტია, მის მიერ სამშენებლო გარანტიის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

5.3 კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.

5.4 კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის

მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.

5.5 მთავრობა უფლებამოსილია სამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში, თუ:

ა) კომპანია წინამდებარე მემორანდუმის 5.3 და 5.4 პუნქტების შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის გადახდაზე უარს აცხადებს - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით.

ბ) მთავრობა ცალმხრივად ვადამდე წყვეტს წინამდებარე მემორანდუმის მოქმედებას ამავე მემორანდუმით განსაზღვრული პირობების დაცვით - სამშენებლო გარანტიის სრული მოცულობით.

### მუხლი 6. ზოგადი დებულებები

6.1 ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის განმავლობაში („საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“), ყოველი წლის ზამთრის თვეებში (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი („ზამთრის თვეები“)) ელექტროსადგურის გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული მოცულობის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ექსკლუზიურად „ესკო“-ზე. ელექტროსადგურის მიერ გამოსამუშავებელი ელექტროენერჯის წლიური საპროგნოზო რაოდენობა აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 მემორანდუმის 6.1 პუნქტის მიზნებისათვის, საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ზამთრის თვეებში, კომპანია „ესკო“-სთან გაფორმებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ელექტროენერჯის რეალიზაციას განახორციელებს მიერთების წერტილში ტარიფით 5.1 (ხუთი მთელი ერთი მეათედი) აშშ ცენტი 1 კვტ/სთ. აღნიშნული საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ზამთრის თვეების გარდა, წლის დანარჩენ პერიოდში, კომპანია უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ მოახდინოს გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია და განახორციელოს ექსპორტი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია:

7.1.1 უზრუნველყოს პროექტის განხორციელება;

7.1.2 შეინარჩუნოს ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში;

7.1.3 უზრუნველყოს, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში, პროექტზე დასაქმებულთა სულ ცოტა 80% (მენეჯმენტის და ექსპერტების გარდა) იყოს საქართველოს მოქალაქე.

7.2 პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია:



7.2.1 მაქსიმალურად დაეხმაროს კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის შესაბამისი დახმარება გაუწიოს საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

7.2.2 უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კომპანიისათვის შესაბამისი უფლებით გადაცემა სათანადო კვლევების ჩატარების უზრუნველყოფისათვის და ასევე პროექტის სამშენებლო ფაზაზე მიწის ნაკვეთების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემა, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

7.3 ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნით „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ კომპანიას უზრუნველყოფენ საჭირო დისპეტჩერიზაციის და გადაცემის მომსახურებით, ხოლო „ენერგოტრანსი“ დამატებით უზრუნველყოფს კომპანიას გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჯხა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნილ ნაწილზე ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემისათვის ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში მემორანდუმის 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ექსპორტისთვის განკუთვნილი პერიოდის განმავლობაში, „მიიღე ან გადაიხადე პრინციპის“ საფუძველზე გაფორმებული გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შესაბამისად.

7.4 მემორანდუმის მე-6 მუხლის მიზნებისათვის, „ესკო“ ვალდებულია კომპანიასთან გააფორმოს ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება.

#### მუხლი 8. მემორანდუმის გაუქმება

8.1 მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:

8.1.1 კომპანია დაარღვევს დანართი N2-ით გათვალისწინებულ გრაფიკს და ეს დარღვევა გაგრძელდება ჯამში 30 დღეზე მეტი ვადით;

8.1.2 5.3 და/ან 5.4 პუნქტებით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;

8.1.3 მთავრობის მიერ მემორანდუმის პირობების გათვალისწინებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, 3.4 პუნქტით დადგენილ ვადაში ხელი არ მოეწერა ხელშეკრულებას;

8.2 მთავრობის მიერ ამ მემორანდუმის 8.1 პუნქტის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:

8.2.1 სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი

ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;

8.2.2 კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;

8.2.3 კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას.

8.3 კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად, მთავრობისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:

8.3.1 მთავრობა ვერ ასრულებს მემორანდუმის 7.2 პუნქტით ნაკისრ ვალდებულებებს. აღნიშნულის თაობაზე მთავრობას უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ასეთი სახის შეწყვეტამდე 90 დღით ადრე;

8.3.2 კომპანია ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგად იყენებს პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის უფლებას. აღნიშნულის თაობაზე მთავრობას უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ასეთი სახის შეწყვეტამდე 30 დღით ადრე;

8.4 კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის 8.3 პუნქტის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:

8.4.1 სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;

8.4.2 კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;

8.4.3 კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას;

8.4.4 კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს აუდიტირებული და დოკუმენტირებული საინვესტიციო ხარჯი მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

8.5 მთავრობის ან კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის შეწყვეტა იწვევს მემორანდუმის ყველა მხარისათვის შეწყვეტას და შესაბამისად ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების და გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შეწყვეტას.

## მუხლი 9. მემორანდუმის ცვლილება

9.1 წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების შემდეგ შეიცვალა ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები, კომპანიის მოთხოვნის და სამინისტროს წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე მთავრობა განიხილავს მემორანდუმში ცვლილებების შეტანის საკიხს;

9.3 თუ მემორანდუმის ნებისმიერი დებულება გახდება ბათილი ან ძალადაკარგული, ეს არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

#### **მუხლი 10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება**

10.1 წინამდებარე მემორანდუმი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 ნებისმიერი დავა, რომელიც მშვიდობიანი გზით ვერ მოგვარდება მხარეებს შორის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინება საქართველოს საერთო სასამართლოებს.

#### **მუხლი 11. ფორს-მაჟორი**

11.1 ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც მხარეების გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტიდან, მათ შორის: ომი, სამოქალაქო ომი, ინტერვენცია, შეიარაღებული კონფლიქტი, ტერორისტული აქტი, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მეხი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური უბედურება ან ნებისმიერი მსგავსი მოვლენა.

11.2 თუ რომელიმე მხარე მოექცევა წინა მუხლში აღნიშნულ ფორს-მაჟორულ გარემოებებში, მან დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მეორე მხარეს ამის შესახებ წერილობითი შეტყობინება. ამავე მხარემ უნდა წარუდგინოს მეორე მხარეს დეტალური ანგარიში, რომელიც შეიცავს ფორს-მაჟორის მიზეზებსა და შედეგებს.

11.3 თუ ფორს-მაჟორი ხელს შეუშლის ნებისმიერი მხარის მემორანდუმით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების ან მისი ნაწილის ჯეროვნად შესრულებას, იმ მხარეს, რომელიც ფორს-მაჟორზე მიუთითებს, ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაეთვლება საპატიოდ ამ მოვლენის ზემოქმედების პროპორციულად და მეორე მხარეს არ იქნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი, თუ ამავე მემორანდუმით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

#### **მუხლი 12. დამატებითი დებულებები**


12.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღეს და ძალაშია მხარეთა მიერ ურთიერთვალდებულებების ამოწურვამდე.

12.2 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ექვს თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.



ხელმოწერები


საქართველოს მთავრობა


  
კახა კალაძე

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“


  


სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის“ ჯამერციული ოპერატორი“


  
ვახტანგ ამბოვაძე




სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

  
შალვა ჯუმჰურიძე

სს „გეს საქრუსენერგო“

  
რამელ მიქელაშვილი


შპს „ენერგოტრანსი“

  
კახა სვანიძე



დანართი N1

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნული მ.ზ.დ.		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
„ნატანები 3“	გურიის რეგიონი, მდინარე ნატანები	650	330	78 მლნ.კვტ.სთ.	11,5 მგვტ.



დანართი N2

დანართი 2	თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის თარიღიდან		
<b><u>ჰიდროელექტროსადგურის დასახელება: "ნატანები 3"</u></b>	3	6	9
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების დაზუსტება	✓		
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება	✓		
გეოლოგია, გეოფიზიკა	✓		
სეისმური ანგარიში	✓		
სამშენებლო მასალების კვლევა		✓	
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები		✓	
ჰიდრაულიკური კვლევები		✓	
ალტერნატივების ანალიზი	✓		
ტექნიკური დიზაინი		✓	
ინფრასტრუქტურა		✓	
ელექტროენერჯის წარმოება		✓	
ქსელთან მიერთება და გადამცემი ხაზი		✓	
ეკოლოგია			✓
სამუშაოების მოცულობის უწყისი			✓
მშენებლობის ორგანიზაცია			✓
ეკონომიკური ანალიზი			✓
ფინანსური ანალიზი			✓
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა			✓
მუშახელის მომზადების გრაფიკი			✓
ტექნიკურ-ეკონომიკური ანგარიშის წარდგენა			✓
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება			✓
საჯარო განხილვის ჩატარება და შედეგების წარდგენა			✓
პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის დადგენა და განსაზღვრა			✓
პროექტის განხორციელების თაობაზე მთავრობისათვის წინადადების წარდგენა			✓

დანართი N3

წინასამშენებლო ფაზა		სამშენებლო ფაზა		
დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი		დასასრული
მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების თარიღი - 6 თვე შეთანხმების ხელმოწერიდან	ექსპლუატაციაში მიღება
13 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან		30 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან		

ხელშეკრულება

ქ. თბილისი


საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ, და

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“ (შემდგომში „კომპანია“), ს/კ: 230866783, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის იორგ მათიესის მიერ;


ვინაიდან ძირითადად მხარეებმა, მემორანდუმის შესაბამისად კომპანიის მიერ მომზადებული და წარდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და საჯარო განხილვის შედეგების საფუძველზე მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე;

აქედან გამომდინარე ძირითადი მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას მშენებლობის ფაზის დაწყების მიზნით.

1. კომპანია ვალდებულია მემორანდუმის 5.2 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში წარუდგინოს მთავრობას საბანკო გარანტია.
2. წინამდებარე ხელშეკრულება შედის ძალაში და მოქმედია კომპანიის მიერ ამ ხელშეკრულების 1-ლი მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მომენტიდან.
3. იმ შემთხვევაში თუ კომპანია არ შეასრულებს ამ ხელშეკრულების 1-ლი მუხლით ნაკისრ ვალდებულებას, მემორანდუმის მოქმედება შეწყდება მემორანდუმის მე-8 მუხლის 8.1 პუნქტის შესაბამისად და მასზე გავრცელდება მემორანდუმით გათვალისწინებული შედეგები.
4. ხელმოწერები:







## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1208 2015 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი


საქართველოს მთავრობას, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.



2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა, ვახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი

წ.



საკვლეპი დარიბაშვილი



# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2160 2014 წლის 3 დეკემბერი ქ.თბილისი


გურიის რეგიონში „ნატანები 3“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის გამოვლენის შესახებ

1. საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის შესაბამისად, გურიის რეგიონში „ნატანები 3“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“.

2. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ უზრუნველყოს ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენის უზრუნველყოფა.

პრემიერ-მინისტრი

წ.



ირაკლი ღარიბაშვილი

2085



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010174543667915

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№2597

01 / აპრილი / 2015 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის  
მინისტრის მოადგილეს,  
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 30 აპრილის №04/1168 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციას“, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადგენი ურთიერთგაგების მემორანდუმების პროექტები, რომლებთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე


ალექსანდრე ბარამიძე

# საქრუსენერგო

სს გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა

## SAKRUSENERGO

JSC UNITED ENERGY SYSTEM



N 10/246

21/04/2015

246-10-2-201504211325



საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

2015 წლის 30 მარტის #04/1169 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ გავეცანით საქართველოს მთავრობას, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, შპს „ენერგოტრანსი“, სს გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმების პროექტებს, რომელთან დაკავშირებითაც მოგახსენებთ შემდეგს:

განსახილველი ურთიერთგაგების მემორანდუმების შესაბამისად, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდება ერთს მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, შპს „ენერგოტრანსი“, სს გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ და მეორეს მხრივ კომპანიას შორის, იქნება დაფუძნებული „მიიღე ან გადაიხადე პრინციპზე“. გადაცემის ლიცენზიატების ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ურთიერთგაგების მემორანდუმების 1.1 მუხლის „ტ“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა) „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კომპანიას უზრუნველყოფენ საჭირო დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურებით, ხოლო „ენერგოტრანსი“ დამატებით უზრუნველყოფს კომპანიას გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჯხა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნილ ნაწილზე ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემისათვის ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში ექსპორტის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ კომპანიას ვერ უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნული მომსახურებით, დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შესაბამისად, აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი, რომლის ოდენობა განისაზღვრება გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით, და:“


აგრეთვე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ურთიერთგაგების მემორანდუმების 1.1 მუხლის „ტ“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ბ) კომპანია ვალდებულია „სსე“-ს, „საქრუსენერგოსა“ და „ენერგოტრანსს“ გადაუხადოს ზემოაღნიშნული მომსახურებისათვის განსაზღვრული თანხა, იმ შემთხვევაშიც, თუ კომპანია გამოიყენებს ნაკლები მოცულობის მომსახურებას, გარდა გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.“

პატივისცემით,

რომეო მიქაუტაძე

გენერალური დირექტორი





1727-09-2-201504201013

N 1727/09

20/04/2015

## საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ განიხილა თქვენი 30.03.2015წ. N04/1169 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმების პროექტები, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1. პროექტების პირველი მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მიზანშეწონილია უფრო ნათლად ჩანდეს, რომ დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის ლიცენზიატები „მიიღე ან გადაიხადე პრინციპის“ შესაბამისად კომპანიას უზდიან კომპენსაციას გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. შესაბამისად, გთავაზობთ ხსენებულ „ა“ ქვეპუნქტის ბოლო წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ შემთხვევაში, თუ „სსე“, „საქრუსენერგო“ ან/და „ენერგოტრანსი“ საკუთარი ბრალით კომპანიას სრულად ვერ უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნული მომსახურებით, დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და შემთხვევებში“.

2. ელექტროსადგურის მშენებლობასთან ერთად, უნდა მოხდეს მისი დადგენილი წესით მიერთება გადამცემ ქსელთან. შესაბამისად, საჭიროა ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს თუ ვინ უზრუნველყოფს (ფინანსურად) ენერგეტიკულ ქსელში ჩართვისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნას. იმის გათვალისწინებით, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე დადგენილი ტარიფები არ ითვალისწინებს და ამ ეტაპისთვის სრულად არ ფარავს არათუ ახალ, არამედ აქამდე არსებული პროექტების ხარჯებსაც, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნათლად მიეთითოს, რომ ენერგეტიკულ ქსელში ჩართვის ხარჯები სრულად ეკისრება კომპანიას. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ პროექტის 5.1.3. პუნქტის შემდეგ რედაქციას:

„5.1.3. ააშენოს ელექტროსადგური მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში და უზრუნველყოს მისი

გადამცემ ქსელთან მიერთების ხარჯების დაფარვა და ექსპლუატაციაში მიღება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.“

3. პროექტების 6.2 მუხლში განსაზღვრულია „ესკო“-სთან გაფორმებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ელექტროენერჯის რეალიზაციის ტარიფი. მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს, რომ აღნიშნული ტარიფი წარმოადგენს თითოეული კილოვატ საათისთვის გადასახდელ თანხას.

4. პროექტების 7.3 პუნქტში მიზანშეწონილია დამატებით დაკონკრეტდეს, რომ ექსპორტის მიზნით დისპეტჩერიზაცია-გადაცემის მომსახურებით უზრუნველყოფა 10 წლის განმავლობაში ხდება თითოეული ასეთი წლის მხოლოდ იმ პერიოდში, რა პერიოდშიც დაშვებულია ექსპორტი მემორანდუმის 6.2 პუნქტის შესაბამისად.


5. მიზანშეწონილია 8.1.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8.1.3. მთავრობის მიერ მემორანდუმის პირობების გათვალისწინებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, 3.4 პუნქტით დადგენილ ვადაში ხელი არ მოეწერა ხელშეკრულებას“.

6. იმის გათვალისწინებით, რომ მემორანდუმის ხელმოწერი ექვსი მხარეა, პროექტის 11.1 პუნქტში ფორმულირება „ორივე მხარის გონივრული კონტროლის მიღმა“ უნდა შეიცვალოს შემდეგით: „მხარეების გონივრული კონტროლის მიღმა“.

პატივისცემით,

სულხან ზუმბურიძე



მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეაბილიტაციის მმართველი




ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2  
ტელეფონი 2401420; ფაქსი 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

№ 01/351

3 04 2015წ.



თანხმობა ხელმოსაწერი  
ურთიერთგაგების მემორანდუმის  
პროექტზე

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 30 მარტის #04/1169 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „გეს საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტები (ნატანები 1 ჰესი, ნატანები 3 ჰესი), რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ვ. ამბოკაძე

OFFICE@ESCO.GE · WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“  
რეგისტრაციული ქ. თბილისი საგადასახელო ინსპექციის შტაბი 07.08.2006, საიდ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036





საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2/ 2 Baratashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

17/04/2015

N 248

248-01-2-201504171809



### საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

თქვენი 2015 წლის 30 მარტის #04/1169 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს "ენერგოტრანსმა" განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"-ს, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმების პროექტები. ამასთან, გაცნობებთ, რომ შპს "ენერგოტრანსს" თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდენილი მემორანდუმების პროექტებთან დაკავშირებით შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,  
კახა სეხნიაშვილი

დირექტორი

1056/102-02

**Bank Guarantee**

29.08.2014

Letter of Guarantee No.: **1638911-2671293**

Beneficiary: Government of Georgia

Principal :GEORGIAN INTERNATIONAL ENERGY CORPORATION" LTD(ID#230866783

Guarantee amount: 57 500 [fifty seven five thousand hundred] USD

Validation time: Till 5 September, 2016

We were informed that "GEORGIAN INTERNATIONAL ENERGY CORPORATION" LTD (The Company) has submitted application for participating in the inquiry process for preparation of the feasibility study, construction, ownership and operation of "Natanebi 3" Hydro Power Plant in Georgia.

In accordance with regulations the Company has to present bank guarantee ensuring preparation of feasibility study and environmental impact assessment report on "Natanebi 3" Hydro Power Plant and presentation of the construction guarantee pursuant to the terms and conditions of the Memorandum of Understanding to be signed between "GEORGIAN INTERNATIONAL ENERGY CORPORATION" (The Company) and the Government of Georgia (the "MoU").

We, "TBC BANK" JSC, Address:Tbilisi, Marjanishvili st. #7 (the "Bank"), under this bank guarantee ("Bank Guarantee") hereby unconditionally and irrevocably undertake to pay you any sums up to a maximum amount of USD 57 500 [fifty seven five thousand hundred] In equivalent of Georgian Lari at the national Bank of Georgian official exchange rate in force on the date of payment ("Maximum Amount") in connection with the Company's obligation of preparation of the feasibility study and environmental impact assessment report and presentation of the construction guarantee pursuant to the terms and conditions of the MoU, in accordance with and subject to the following:

- (A) We shall pay you immediately upon your first written demand and irrespective of any objection by the Company or any other party such amount or amounts as you may demand up to the Maximum Amount 57 500 [fifty seven five thousand hundred] USD In equivalent of Georgian Lari at the national Bank of Georgian official exchange rate in force on the date of payment
- (B) All payments made based on your demand shall be free and clear of, and without any present or future deduction or withholding for payment of, any taxes, levies, duties, charges or fees of any nature whatsoever and by whomsoever imposed;
- (C) The Bank guarantee shall remain valid and in full force and effect up to the end of the day 5 September 2016; and expires full and automatically, should your original written request for payment not be in our possession at our above mentioned address on or before that date;
- (D) Your demand of payment must be sent to our above mentioned adress in the written form,
- (E) The Bank Guarantee will be reduced by each payment made by us as a result of a claim. This guarantee will be governed by Georgian Law, place of Jurisdiction is Tbilisi. Any dispute with respect to this guarantee shall be resolved by UNCITRAL Arbitration Rules.

Representative \_\_\_\_\_

Grigol Katsia

